

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №13

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

20. 07.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, კობა მაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 11-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 20 ივლისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგი

**დღის წესრიგი**

„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2.„ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 ცვლილებების შეტანის შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭიშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 20 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 04 თებერვლის 147 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2021 წლის პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ქონების გადასახადი მცირდება 50, 0 ათასი ლარით.

ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი იზრდება 488,7 ათასი ლარით.

გ) სხვა შემოსავლები იზრდება 11,3 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 13649,8 ათასი ლარით, გადასახდელები 14950,3 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 20 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროგრამით (პროექტების ჩამონათვალის არსებულ დანართში: სოფლები: შუამთა, ჭყვიში) განსახორციელებელ პროექტებში შეტანილი იქნას ცვლილება . კერძოდ, მინი სტადიონის ხელოვნური საფარის რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციისათვის მასალების შეძენა, მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 20 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე